თ ა ნ ხ მ ო ბ ა


2013 წელს შპს "დმ სტუდიას"-ს მიერ, ქ. თბილისში, თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქუჩა 33- ში, შპს "ოაზისი 9"-ს დაკვეთით, დამუშავდა მათ საკუთრებაში მყოფი მშენებარე, ავარიული საოფისე შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომლის ავტორიც ვარ მე - არქიტექტორი ნ. ჩხაიძე. კორექტირების შედეგადაც შენობას შეეცვალა ფუნქცია და მოხდა მისი ადაპტირება სასტუმროდ.

ავარიული შენობის გამაგრების კონსტრუქციული ნაწილის დამუშავების შემდეგ, ვინაიდან მოხდა მთლიანი შენობის მზიდი კონსტრუქციის გამაგრება ლითონის ელემენტებით და საძირკველში მოეწყო დამატებითი ხიმინჯები და მათი შემკვრელი კოჭები, შეიცვალა სართულის სიმაღლეები და მზიდი ელემენტების გაბარიტები.

რადგან შეიცვალა შენობის ფართები და დამატებით ეწყობა პერსონალისათვის ლიფტი, დამკვეთის სურვილია რომ შენობის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოახდინოს საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება შენობის დამტკიცებული გარე იერსახის შენარჩუნებით.

ამის შესახებ ჩემთვის ცნობილია და თანახმა ვარ კორექტირებული პროექტი დაამუშაოს მათ მიერ შერჩეულმა ნებისმიერმა საპროექრო ორგანიზაციამ და არქიტექტორმა.

არქიტექტორი: /ნ. ჩხაიძე/



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150390767
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.04.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით მეფარიშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 110**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2477029, 598262299, 593262299
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	74762475200815

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაორ აპრილს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N110-ში, მომმართა მამუკა ფირანიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ნიკოლოზ ჩხაიძეს სურს დაადასტუროს თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობა და მოითხოვა სანოტარო მოქმედება შემესრულებინა სანოტარო ბიუროს გარეთ. მე გამოვცხადდი მისამართზე საქართველო, თბილისი, კოსტავას 37-39, სადაც დამხვდა ნიკოლოზ ჩხაიძე, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა პროექტის კორექტირების თაობაზე და განაცხადა, რომ სურს დაადასტუროს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობა. მე დავადგინე ნიკოლოზ ჩხაიძეს პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნიკოლოზ ჩხაიძე (დაბ. 16.07.1974წ, პ/ნ №01024024996, მცხ.თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 22 ბ. 9) მონაწილეობდა სანოტარო მოქმედებაში; მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. შემდეგ მე განვუმარტე მას, რომ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმებისას მოწმდება მხოლოდ ხელმომწერი პირის ხელმოწერის ნამდვილობა ისე, რომ არ მოწმდება ხელმომწერის უფლებამოსილება ხელმოწერაზე, მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და ადეკვატური ასახვა ტექსტში, ამასთან, არ მოწმდება ტექსტის კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობა, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი. "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია სულ: 24 ლარი. მათ შორის: 31.3. მუხლის საფუძველზე 2 ლარი თითოეული ხელმოწერის დადასტურებისთვის (2 ლარი), 20 ლარი 34.2 მუხლისა და 2 ლარი 39.1. მუხლის საფუძველზე.

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18